განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1. შპს "ვარდნილჰესის კასკადი" (ფაქტიური მდებარეობა: გალის რ-ნი, დას. რეჩხი) აცხადებს კონკურსს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. კონკურსის მიზანია, ზემძიმე წონის ტვირთის (ძალოვანი ტრანსფორმატორის 115 ტ) გადატანასთან დაკავშირებით საავტომობილო გზის (რკ. სადგური ინგირი - ქ. ზუგდიდი-ჯვარი-საბერიო-დას. რეჩხი) სავალი ნაწილისა და მასზე არსებული ხელოვნური ნაგებობების გამტარიანობის დადგენის და საჭიროების შემთხვევაში მის გაზრდასთან დაკავშირებით საჭირო სამუშაოების ჩატარებისთვის პროექტისა და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.
3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 27000 (ოცდაშვიდი ათას) ლარს.
4. დაფინანსების წყარო შპს "ვარდნილჰესის კასკადი"-ს 2014 წლის ბიუჯეტი.
5. კონკურსში მონაწილეობის საფასური

5.1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათ) ლარს, რომელსაც რიცხავს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.pocurement.gov.ge) მითითებულ ანგარიშზე.

5.2. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

ამ მუხლის 5.2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოცუმენტს, არ განიხილება.

6. კონკურსი ჩატარდება (გამარჯვებული გამოვლინდება) 2014 წლის 15 ივლისს.
7. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.

შენიშვნა: დოკუმენტის ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს.

8. საკონკურსო წინადადება დალუქული პაკეტით წარმოდგენილი უნდა იყოს 2 ეგზემპლარად (დედანი და ასლი) 2014 წლის 14 ივლისის 10:00 საათიდან 12:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. №8,3). წინადადების შერჩევა–შეფასება განხორციელდება 15 ივლისს
9. საკონკურსო წინადადება ხელმოწერილი უნდა იყოს კონკურსის მონაწილის მიერ, ხელმოუწერელი წინადადება არ განიხილება.
10. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება (მათ შორის საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის საფასურის ქვითრის გარეშე), არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდება უკან კონკურსანტს.
11. საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

12. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარებში, საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება– ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

13. კონკურსანტმა საკონკურსო დოკუმენტაციის სახით უნდა წარმოადგინოს:

13.1 საკონკურსო წინადადების ფასი (დღგ–ს გარეშე, კონკურსში დღგ-ს გადამხდელის გამარჯვების შემთხვევაში დღგ-ს განაკვეთი გათვალისწინებული იქნება სახელშეკრულებო თანხაში), წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ლარებში.

13.2 ტექნიკური დავალების შესაბამისად შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების პირობების მოთხოვნის შესაბამისად.

13.3 ინფორმაცია კონკურსანტის მიერ ბოლო სამი წლის განმავლობაში ჩატარებული თვისობრივად ანალოგიური მომსახურების გაწევაზე;

13.4 ინფორმაცია მომსახურების გაწევის ვადის შესახებ.

13.5 რეკვიზიტები.

14. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.

15. საკონკურსო წინადადება რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას 27000 (ოცდაშვიდი ათას) ლარს არ განიხილება.

16. საკონკურსი წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა:

- საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0,7.
- მომსახურეობის გაწევის ვადა: კოეფიციენტი – 0,3.
- შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით.
- კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათ თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

17. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცის წარმოდგენა.

18. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

19. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საკონკურსო კომისიაში, საკონტაქტო პირი ალფეზ შელია, ტელ: 577 41 34 08, ჯეირან არონია ტელ: 595962296 შპს"ენგურჰესი"-ს შესყიდვების სამსახური.

ტექნიკური დავალება დაპროექტებაზე

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს:

ზემძიმე წონის ტვირთის გადატანასთან დაკავშირებით საავტომობილო გზის სავალი ნაწილისა და მასზე არსებული ხელოვნური ნაგებობების გამტარიანობის დადგენისა და საჭიროების შემთხვევაში მისი გაზრდის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა

№	უბნების დასახელება	გასაწევი მომსახურების დასახელება
I	რკ. სადგური (ინგირი) – ქ. ზუგდიდი	აღნიშნულ უბნებზე საავტომობილო გზისა და ხელოვნური ნაგებობების გამოკვლევა – ტექნიკური მდგომარეობის დადგენა
II	ქ. ზუგდიდი – დაბ. ჯვარი	
III	დაბ. ჯვარი – ერისწყლის გადასასვლელი	
IV	ერისწყლის გადასასვლელი – დას. საბერიო (ენგურჰესი)	
V	დას. საბერი (ენგურჰესი) – ოცარცე	
VI	ოცარცე – ქ. გალი	
VII	ქ. გალი – დას. რეჩხი	

ზემძიმე წონის ტვირთის გადატანასთან დაკავშირებით საავტომობილო გზის სავალი ნაწილისა და მასზე არსებული ხელოვნური ნაგებობების გამტარიანობის დადგენისა და საჭიროების შემთხვევაში მისი გაზრდის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის

ფასების ცხრილი

№	უბნების დასახელება	გასაწევი მომსახურების ღირებულება
I	რკ. სადგური (ინგირი) - ქ. ზუგდიდი	
II	ქ. ზუგდიდი – დაბ. ჯვარი	
III	დაბ. ჯვარი – ერისწყლის გადასასვლელი	
IV	ერისწყლის გადასასვლელი – დას. საბერიო (ენგურჰესი)	
V	დას. საბერიო (ენგურჰესი) – ოცარცე	
VI	ოცარცე – ქ. გალი	
VII	ქ. გალი – დას. რეჩხი	

მანძილი I-IV უბნამდე შეადგენს - 50 კმ, IV-V უბნამდე - 15 კმ, V-VI უბნამდე – 7 კმ, VI-VII უბნამდე – 5.5 კმ.

ზემძიმე ტვირთის საერთო წონით 115ტ. + პლატფორმის წონის გადასატანი ტრასა მოიცავს ინგირის სარკინიგზო სადგურიდან გალის რ-ნ დას. რეჩხის ტერიტორიამდე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ტრასა შეიძლება პირობითად დაიყოს თვისობრივად განსხვავებულ რამოდენიმე უბნებად, კერძოდ:

1. I უბანი – რკ. სადგური (ინგირი) – ქ. ზუგდიდი;
2. II უბანი – ქ. ზუგდიდი –– დაბ. ჯვარი;
3. III უბანი – დაბ. ჯვარი – ერისყლის გადასასვლელი;
4. IV უბანი – ერისყლის გადასასვლელი – დას. საბერიო (ენგურჰესი);
5. V უბანი – დას. საბერიო (ენგურჰესი) – ოცარცე;
6. VI უბანი – ოცარცე – ქ. გალი;
7. VII უბანი – ქ. გალი – დას. რეჩხი;

ტექნიკური დავალება ითვალისწინებს ყველა ამ უბანზე ხელოვნური ნაგებობებისა და გზის სავალი ნაწილის მოწყობაზე საპროექტო-სახრჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებას.

აღნიშნულის განსახორციელებლად კონკურსანტს უნდა ჰყავდეს ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ხელმძღვანელი – საგზაო ინჟინერი არანაკლებ 8 წლიანი გამოცდილებით;
2. საგზაო ინჟინერი – არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილებით;
3. ხელოვნური ნაგებობების ინჟინერი – არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილებით;
4. ტოპოგრაფიული კვლევის სპეციალისტი – არანაკლებ 5 წლიაბი გამოცდილებით;

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო–სახარჯთარღიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებით საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას მიმწოდებელი განახორციელებს ანაზღაურების გარეშე.

პროექტირების პერიოდში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირი სახით შეთანხმდება შემსყიდველთან.

ხელშეკრულების პროექტი

das. reCxi

——— 2014 წელი

ერთის მხრივ, შპს "ვარდნილჰესების კასკადი" (შემდგომში `შემსყიდველი") _____ (იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. #8, ფაქტიური მდებარეობა: გალის რ–ნი, დას. რეჩხი).

მეორეს მხრივ, _____, (შემდგომში „მიმწოდებელი") მისი დირექტორის _____ _____ სახით, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ _ "ხელშეკრულება") _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება კონკურსში და ახორციელებს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;

1.6 „მომსახურება" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7 „ტექნიკური დოკუმენტაცია" – მიმწოდებლის მიერ (საკონკურსო განაცხადი №...) საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ზემძიმე ტვირთის (ძალოვანი ტრანსფორმატორის) ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დოკუმენტაციაში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესასრულებელი მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს _____ ლარს;

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი განახორციელდება შპს "ვარდნილჰესების კასკადი"–ს უფლებამოსილი პირის მიერ;
4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

5. მომსახურების გაწევის პირობები და ვადები

5.1 „მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურების გაწევა განახორციელოს ხელშეკრულების დადებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში.
5.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგინოს 2 (ორ) ეგზემპლარად ფერად ტონებში, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ელექტრონული ვერსია.
5.3 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს მომსახურების პირობებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ გაწეული მომსახურების მიღება–ჩაბარების აქტის ფაქტიური დადასტურების შემდეგ.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მიღება–ჩაბარების აქტისა და ფინანსური დოკუმენტაციის საფუძველზე.
7.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.
7.4 ანგარიშსწორება განხორციელდება გაწეული მომსახურების დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
8.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანოზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. მხარეთა უფლება–მოვალეობები

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:
–გასაწევი მომსახურების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიმწოდებლისგან მისთვის საჭირო ინფორმაცია;
9.2 შემსყიდველი ვალდებულია:

– უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით;

9.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

9.3.1 მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

9.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

9.4.1 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 დაუძლეველი ძალის გარდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

10.2. ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი გადაიხდის ჯარიმას ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 30 (ოცდაათი) %-ის ოდენობით.

10.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%–ს.

10.4. იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 %–ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.5. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

11.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება დაუყონებლივ უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან.

11.3. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

12. დაუძლეველი ძალა

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლის შეუძლებლობის შესახებ.

12.2. თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

13.2. თუ „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, იებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. გამოყენებული სამართალი

14.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. გადასახადები და დაბეგვრა

15.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მომსახურების გაწევის ვადის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში.

16.2. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება თითო თითო პირი ხელმომწერ მხარეებთან.

17. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

შპს "ვარდნილჰესების კასკადი"

იურიდ. მისამართი: ქ. თბილისი ა. პოლიტკოვსკაიას #8 ფაქტ. მდებარეობა გალის რ–ნი სოფ. რეჩხი

სს "საქართველოს ბანკი"

ს/კ 251716362 ბ/კ BAGAGE22

ა/ა GE77BG0000000333767500

დირექტორი

_____ ა. შელია

მიმწოდებელი:

დანართი №1

ინფორმაცია მიმდინარე წლის (დასრულებული ხელშეკრულებები) და ბოლო სამი წლის (**2011; 2012; 2013წწ.**) განმავლობაში შესრულებული ანალოგიური მომსახურების გამოცდილების შესახებ, რომელიც არ უნდა იყოს საკონკურსო თანხის **150%**-ზე ნაკლები

№	მომსახურების დასახელება	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება	ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება	ხელშეკრულების დადების თარიღი და №

შენიშვნა: ინფორმაციასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას დამადასტურებელი დოკუმენტები (მიღება-ჩაბარების აქტები).